

### ტუტანხამონის კავკასიური წარმოშობის შესახებ

უკანასკნელ ხანებში, დასავლეთის პრესასა თუ ინტერნეტ-სივრცეში ფართოდ მიმოიხილება ტუტანხამონის წარმომავლობასთან დაკავშირებული, აქამდე სრულიად უცნობი ასპექტები. ამ საკითხს, 23 ოქტომბრის პოსტ-სკრიპტუმში, საქართველოს ტელევიზიამაც მიუძღვნა მოკლე გადაცემა. შვეიცარიელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული გენეტიკური კვლევების შედეგად, გამოვლინდა ევროპის ტერიტორიაზე, ტუტანხამონის გენეტიკური კოდის (R1b1) გავრცელების განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი. ირლანდიაში, აღნიშნული გენოფორმულა 80%-ია, ბრიტანეთში – 70%, საფრანგეთში – 50%, ესპანეთში – 60%, საფრანგეთის ჩრდილოეთში, ინგლისის სრუტის გასწვრივ კი 80%-ს აღწევს (wikipedia). აღმოსავლეთისკენ, საბერძნეთის ტერიტორიაზე, მონაცემები 25%-დან 15%-მდე კლებულობს. საინტერესოა, რომ იგივე R1b1 ჰაპლოჯგუფი აფრიკისა (კამერუნში 90%) და აზიის კონტინენტებზეც არის აღმოჩენილი, თუმცა თვით შვეიცარიელი გენეტიკოსების მიხედვით, ტუტანხამონის გენეტიკური ფორმულა კავკასიური წარმომავლობისაა.

აღნიშნულ დებულებას ადასტურებს და აზუსტებს კიდევ ჩვენ მიერ ჩატარებული ლინგვისტური და კულტუროლოგიური კვლევა, რომლის გარკვეული შედეგები უკვე მონოგრაფიის სახით არის გამოქვეყნებული სათაურით – „ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია“ (თბილისი, 2011). ნაშრომში წამოჩენილი და განხილულია ეგვიპტოლოგიის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პლასტი: ენა, რელიგია, დამწერლობა და სიმბოლიკა.

წინამდებარე სტატიისთვის, ყველაზე საინტერესო ტუტანხამონის სახელის ქართველური წარმომავლობაა. ეგვიპტურში, მის მნიშვნელობას „ამონის ცოცხალ სახეს“ უტოლებენ, რაც ფარაონთა მზიური წარმომავლობის რწმენას საკვებით ესადაგება. ქართველური ენების პრიზმაში, სახელი „ტუტანხამონი“ რამდენიმე სიტყვისგან შედგება: ესენია **თუთ+ან+ხატ+ონ**. აღნიშნული სიტყვები ქართველური ენების ზოგადლექსიკურ ფონდს განეკუთვნება: **თვე (თთუე, თუთა)+ან+ხატი+ონი**. მოცემული ლექსემების კრებული, რათქმუნდა, არ წარმოადგენს სახელს ჩვეული გაგებით. თუთ-ან-ხატ-ონ-ის, ისევე როგორც სხვა ფარაონების სახელები, **ინფორმაციის გადმოცემაზეა გათვლილი და არა პიროვნების იდენტიფიკაციაზე, რაც საკუთარი სახელების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს**. ამიტომ, ტუტანხამონის (თუთ-ან-ხატ-ონ-ის) სახელის ინფორმაციული პლანის გამოსავლენად მისი თითოეული კომპონენტის დემიფირირებაა საჭირო. მათი დეკოდირება, რომელიც მონოგრაფიის სხვადასხვა ნაწილშია მოცემული, ეგვიპტური და ქართველური მნიშვნელობების ჯამია და ეგვიპტის ჭაბუკ ფარაონს აზასიათებს, როგორც **დამწერლობისა და დამწერლობის ღმერთის** (თუთ = Thoth, ან = ასომთავრული ანი, მთვარე), **მთვარის ასტრონომიის** (თვე) და **მზის ქალაქის** (ონ = ჰელიოპოლისი; შდრ. ქ. ონი) **ხატს**. ამკარაა, რომ ტუტანხამონის სახელის ქართველური ენების მეშვეობით დემიფირირება გაცილებით უფრო სრულყოფილი და ამომწურავია, ვიდრე მისი ეგვიპტური ინტერპრეტაცია.

ტუტანხამონის ქართველურ წარმომავლობას მისი მამის ამენხეტეფ IV-ისა და ბაბუის, ამენხეტეფ III-ის სახელების ქართველური ეტიმოლოგიაც ადასტურებს. მათი სახელი ორი ქართველური სიტყვის შეერთებაა. პირველი მათგანი ეგვიპტურში უდიდესი ღვთაება **ამონ-ია**, ხოლო ქართულად ჩვენებითი ნაცვალსახელი – **ამან**; მეორე კომპონენტი კი ნაწარმოები სიტყვა **ხატ-ებ-აა**, რომლის მნიშვნელობაც ყველა ქართველს კარგად მოეხსენება. სხვაგვარად, ამენხეტეფ = **ამან+ხატება**, ანუ **ამ მზე ამონის ხატებას** ნიშნავს. შესაბამისად, ტუტანხამონის, მისი მამისა და ბაბუის ერთნაირი გენეტიკური კოდის არსებობა მათი ქართველური წარმომავლობითაც დასტურდება.

დასასრულ, გთვავობთ ნაწყვეტს ტუტანხამონის სახელის ქართველურ წარმომავლობაზე წიგნიდან ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია (გვ. 392-93), რომელიც სახელის ინდივიდუალური კომპონენტებისა და ეგვიპტური ღვთაებრივი, ასევე სამეფო ონომასტიკის კვლევას ეფუძნება. ამ ყოველივეს 580 გვერდიანი ნაშრომის 2/3 მოიცავს.

ვფიქრობ, წიგნი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ტუტანხამონის წარმომავლობის შესახებ არსებულ დისკუსიაში სიცხადის შეტანას, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ქართველური ენებისა და კულტურის როლის მეცნიერულად შესწავლას.

### 17. ტუტანხამონის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

სახელი „ხატი“ ფიგურირებს ფარაონ ტუტანხამონის სახელშიც. ეს ფარაონი ცნობილია არა თავისი ღვაწლის, არამედ იმ განძის გამო, რომელიც მძარცველებს გადაურჩა და მის აკლდამაში ხელშეუხებლად აღმოაჩინეს. რეფორმატორი ფარაონის ახენატონის (ამენხეტეპ IV = „ატონი კმაყოფილი“) სიძე (ან ვაჟი) ტახტზე ავიდა, როგორც Tutan-khat-on (Mackenzie 1913: xvi). ფარაონის ეს სახელი ზღვა ინფორმაციას გვაწვდის, თუკი მას ქართველური ენებისა და კულტურის კუთხით შევისწავლით. გავიხსენოთ, რომ ეგვიპტელთა დამწერლობის ღმერთი სათავეს იღებს ქართველური სიტყვიდან „თუთა, თუთუე, თუთე“, რომელიც „მთვარეს, თვეს“ ნიშნავს (გვ. 78-86). ქართულ ასომთავრულ ანბანში მთვარის ღმერთი არის ანი. ჩვენებური სიტყვების „თუთის“ და „ანის“ გაერთიანება თუთ+ან წარმოქმნის შედგენილი სახელის (Tutan-khat-on) პირველ კომპონენტს Tutan. აღნიშნული სახეწლები – თუთ+ან/Tutan – მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდებიან; ქართველური ყრუ, დენტალური ხშული თ შეცვლილია გლოტალიზებული კბილისმიერი თანხმოვნით ტ; ეს არის ბგრათიმირთება, რომელიც უფრო ადასტურებს, ვიდრე უარყოფს მათ იგივეობას. უფრო მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ეგვიპტური ტ ქართული თ-ს ბგერწერაა, მოვლენა, რომელიც ხშირად გვხვდება თანამედროვე ინდოევროპულ ენებში იბერიულ-კავკასიური ფშვინვიერი ბგერების მკვეთრებით გადმოცემისას (შდრ.: კ-გ, კ-ქ, წ-ც, ჭ-ჩ), რაც ზევით უკვე იყო გაანალიზებული „ამითან“ დაკავშირებით. სტრუქტურული კუთხითაც, ორივე სახელი ერთსა და იმავე ფორმულაზეა აგებული: ქართველური: თუთ+ან და ეგვიპტური Tut+an.

სემანტიკურად, ქართველური „თუთან“ და ეგვიპტური „ტუტან“ იდენტურია. „თუთ+ანის“ პირველი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ეს არაერთხელ იყო უკვე მითითებული, აღნიშნავს „მთვარეს“ და „თვეს“, მაშინ, როდესაც მეორე კომპონენტი „ანი“ ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო, მთვარის კალენდრის პირველი დღე და თვით მთვარის ღმერთია (წინარე „ცის ღმერთი“).

ეგვიპტურ სახელში Tutan პირველი ელემენტი Tut ფონეტიკურად ოდნავ სახემეცვლილი „თოთია“ (Thoth), დამწერლობის ღმერთის სახელი; Tutan-ის მეორე კომპონენტი კი სრულიად მსგავსია შესაბამისი ქართველური წევრისა „ან“. მიუხედავად ამისა, ეგვიპტური „ანის“ ეზოთერულ მნიშვნელობაში ჩასაწვდომად და აგრეთვე იმისათვის, რომ მის წარმომავლობაში დავრწმუნდეთ ქართული ასომთავრული „ანიდან“, საჭიროა სახელის სიდრმისეული ანალიზის მისივე საკუთარ, ანუ ეგვიპტურ გარემოცვაში. ამაში დიდად გვეხმარება ცნობილი ეგვიპტური „ანის პაპირუსის“ დასახელება.

### 18. ანის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

მეცნიერთა თანხმობის საფუძველზე, „ანის პაპირუსი“ დაწერილი იყო ვინმე ანისთვის, რომელსაც სასახლის მწერლისა და ხარჯთაღმრიცხველის თანამდებობა ეკავა. პაპირუსის დაწერის დროდ მე-17 დინასტიის მეფობა ითვლება (ძვ.წ. 1500-1400 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დასკვნები პაპირუსის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად არის გამოტანილი, არსებობს ფაქტები, რომლებიც განსხვავებულ აზრს გვთავაზობენ. უპირველეს ყოვლისა, „ანის პაპირუსი“ დაუთარიღებელია, რისი მიზეზებიც შეიძლება სამუდამოდ შეუცნობელი დარჩეს, თუმცა

პაპირუსის გარკვეული თვისებები, ანუ, უფრო ზუსტად, მასში განხილული ფილოსოფიური სისტემა, მისი ზუსტი თარიღის მნიშვნელობას აქარწყლებს. გავიხსენოთ, რომ მიუხედავად „მკვდართა წიგნის“ ოთხი გამოცემისა,<sup>1</sup> დაწყებული V დინასტიით და დამთავრებული პტოლომეუსის ხანით (ძვ.წ. 30 წ.), ტექსტი პრაქტიკულად უცვლელია და მოიცავს ეგვიპტელთა შეხედულებებს სიკვდილის შემდგომ არსებულ სიცოცხლეზე. სხვაგვარად, მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მიღების ჩვენი სურვილი რომ არაა, შინაარსობრივად, „ანის პაპირუსი“ ეგვიპტის ძველი სამეფოდან ქრისტეს შობამდე განვლილი პერიოდის ნებისმიერი დროითი მონაკვეთის კუთვნილებაა. შესაბამისად, ფილოსოფიურ-რელიგიური თვალსაზრისით, „მკვდართა წიგნი“ რამდენიმე ათასწლოვან პერიოდში ნებისმიერი თარიღით შეიძლება დათარიღდეს, რის გამოც „ანის პაპირუსი“, ისევე, როგორც „მკვდართა წიგნი“ ზოგადად, **მეტადროული (ზედროული)** ნაშრომია.

მეორე ფაქტი, რომელიც მხარს უჭერს „ანის პაპირუსის“ ჩვენეულ (მეტადროულ“ „დათარიღებას“, ანის ბიოგრაფიის არარსებობაა. ერთადერთი ცნობა, რომელიც პაპირუსიდან დასკვნის სახით შეიძლება გაკეთდეს, ანის თანამდებობას შეეხება. ანი ეკლესიის მაღალი რანგის დიდებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას მწერლის კარიერაში ყველაზე მაღალი თანამდებობა ეკავა. ანი „ჩრდილოეთისა და სამხრეთის“ რჩეული, „აბიდოს ღმერთების ბედლის გამგებელი, თებეს ღვთაებებისადმი საკრალური შეწირულობების აღმწერია“.<sup>2</sup> ანის ტიტულატურა იმ მეფის სახელსაც კი არ შეიცავს, რომელსაც იგი ემსახურებოდა. უფრო მეტიც, პაპირუსის მთელი რიგი ნაწყვეტები ანისთვის არ იყო განკუთვნილი და მისი სახელი მოგვიანო ჩანართია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მწირი ცნობები, რომლებსაც პაპირუსი გვაწვდის, ანის ისეთივე განზოგადებული სახით წარმოგვიდგენს, როგორი სახითაც პაპირუსის თარიღია წარმოადგენილი.

შემოთავაზებული აზრი შემდგომ მტკიცებულებას ანის მეუღლის სახელში Tutu ნახულობს. Tutu („თუთუ“), იგივე „თოთი“ და ქართველური „თუთა“, „თუე“, „თუთე“ („თვე, მთვარე“) დამწერლობის ღმერთის სახელია. ანუსა და თუთუს ცოლქმრულ ურთიერთობას ანალიზის სფეროში ქართული ასომთავრული ანბანი, ასო-ნიშნები და მათი ეზოთერული მნიშვნელობა შემოჰყავს. ქართული ასომთავრული „ანი“, რომელიც წარმოადგენს ანბანის პირველ ასოს, თავის თავში მოიცავს ეგვიპტური „ანისა“ და „თუთუს“ წყვილს. უფრო მეტიც, ასომთავრული „ანის“ უმაღლეს სადამწერლობო ტიტულ-თანაფუნქციას – ემსახუროს ღმერთებს და აღნუსხოს მათდამი სამსახური. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანი და მისი მეუღლე რეალური პიროვნებები იყვნენ, მათი სახელები აშკარავენ ისეთ ურთიერთობას, რომელიც ასომთავრული „ანის“ რთულ სიმბოლიზმსა და ქართველურ ენობრივ მონაცემებს ემყარება.

წარმოდგენილი ანალიზისა და მისი დასკვნების ღირებულება სხვა ფაქტებითაც დასტურდება. ჩვენ ვთხოვთ მკითხველს, გაიხსენოს ანალიზი „ნებსენისა“ („ნებსენის პაპირუსი“), რომლის ეტიმოლოგია ქართველური ფრაზაა – „(იყოს) ნება შნი!“ და არა სახელი, მისი დღევანდელი გაგებით. ახლა ერთმანეთს შევადაროთ კომპონენტი „ტუტან“ („თუთ-ან“) სახელში Tutan-khat-on და ანი-თუთუს წყვილი. ერთადერთი სხვაობა სახელის იდენტური კომპონენტების განსხვავებულ განლაგებაშია (Tut-an=an(i)-Tut(u). ამიტომ, ფარაონ ტუტან-ხატ-ონ-ის სახელი შედგება სამი ქართველური ძირისგან: **თუთ+ან+ხატ**. პირველი სიტყვა ნიშნავს „თვესა“ და „მთვარეს“, მეორე კომპონენტი სამ ცნებას მოიცავს: „მთვარის ღმერთს“, „თვესა“ და „საწერ ასო-ნიშანს“, ხოლო მესამე ელემენტია „ხატი“, ანუ „სახე“. ყველა სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გაერთიანებით ფარაონ Tutan-khat-on-ის სახელი იშფრება, როგორც „მთვარის ღმერთი, დამწერლობის ღმერთი და სამყაროს კოსმიური ცოდნის ხატი“.

<sup>1</sup> „მკვდართა წიგნის“ ოთხი გამოცემა: ჰელიოპოლიური (ანუ), თებეს, XX დინასტიისა და საიტის ვარიანტები.

<sup>2</sup> [www.sacred-texts.com/egy/ebod/ebod12.html](http://www.sacred-texts.com/egy/ebod/ebod12.html)

მეცნიერთა აზრით, ფარაონთა სახელებში, სიტყვის – „ხატი“, ფართო გამოყენება მომდინარეობს „ნეოლითის ხანის პრეისტორიული ბელადების რწმენა-ტრადიციებიდან“ (Clark 1991: 30). ფარაონებს სწამდათ, რომ ისინი დედამიწაზე ღმერთების განსხეულებას წარმოადგენდნენ და ღვთაებრივი ჩარევით მოვლენილი ღმერთების შვილები იყვნენ. ამიტომ, მზიურ წარმომავლობაზე დაყრდნობით, ფარაონები თავის თავს მზის **ხატად** აცხადებდნენ. გამოდის, რომ ქართველური ხატი არის არა მარტო ეგვიპტელი ფარაონების სამეფო ტიტული, არამედ მათი სტატუსისა და მდგომარეობის საყრდენიც.